საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
QUALITY ASSURANCE SERVICE

N 3424/01-06-05

09/03/2018

3424-01-06-05-2-
201803091631

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს, ბატონ კახი ბექაურს

ბატონო კახი,

როგორც მოგეხსენებათ, ტერმინი „ელექტრონული კომუნიკაციები“ არ არის განმარტებული არც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და არც „მაუწყებლობის შესახებ“ კანონებით. გაცნობებთ აგრეთვე, რომ “ელექტრონული კომუნიკაციები“ არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" N120 ბრძანებაში და დღეისათვის საქართველოს არც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას სახელწოდებით - „ელექტრონული კომუნიკაციები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი წერილის საფუძველზე, 2018 წლის 1 მარტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის №01/03 ბრძანებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 23 თებერვლის №14/638-18 კორესპონდენციაში დასმული საკითხის შესწავლის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა თქვენს წერილში დასმული საკითხის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება. კომისიაში შედიოდნენ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე კომპიუტერული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ 2018 წლის 5 და 7 მარტს იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. მოძიებულ იქნა ელექტრონული კომუნიკაციების ანალოგი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში. ერთმანეთს შედარდა კახი ბექაურის მიერ გავლილი სასწავლო კურსების ჩამონათვალი იმ ელექტრონული კომუნიკაციების სასწავლო კურსების ჩამონათვალს. დადგინდა შემდეგი სასწავლო კურსების შესაბამისობა:

| N | გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის | ელექტრონული კომუნიკაციების |
|---|---|---|

| | სასწავლო კურსები | კურსები (საერთაშორისო პრაქტიკა) |
|---|---|---|
| 1 | მათემატიკური ანალიზი | Mathematics |
| 2 | ფიზიკა | Physics<br>Fields Waves and Antennas |
| 3 | ეგმ (ელექტრონული გამომთვლელი მანქანა) და პროგრამირება | HDL for Programmable Logic |
| 4 | ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა | Mathematical Statistics |
| 5 | ოპტიმიზაციის მეთოდები | Optimisation Methods |
| 6 | რიცხვითი მეთოდები | Numerical Methods |
| 7 | ვარიაციული არღიცხვისა და და ოპტიმალური მართვის ამოცანები;<br>საკურსო სამუშაო;<br>საკურსო პროექტი | Instrumentation and Measurement with Project |
| 8 | ინგლისური ენა | Foreign Language |
| 9 | გამოთვლითი მათემატიკის შესავალი;<br>გამოყენებითი პროგრამების პაკეტები;<br>პრაქტიკუმი ეგმ-ზე | Embedded Computing |
| 10 | მათემატიკური ფიზიკის დამატებითი თავები | Power Electronics Integration |
| 11 | სადიპლომო ნაშრომი თემაზე | Masters Thesis Preparation<br>Masters Thesis |

აღნიშნულიდან გამომდინარე, დარგის სპეციალისტების მიერ დაკომპლექტებულმა კომისიამ დაასკვნა, რომ კახი ბექაურის დიპლომი უთანაბრდება ელექტრონული კომუნიკაციების მაგისტრის კვალიფიკაციას.

პატივისცემით,

ირინე დარჩია

სამსახურის უფროსი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

კანცელარია
CHANCELLERY